

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
სენატის

2013 წლის 25 დეკემბრის =43 სხდომის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა =1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2013 წლის 25 დეკემბრის =43 სხდომაზე პროფ. ოთარ გელაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ს სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტთან თვითდაფინანსების პრინციპით მომუშავე „სატრანსპორტო პრობლემათა ცენტრის“ ახალი დებულების დამტკიცების შესახებ. აკადემიური საბჭოს 2013 წლის 16 დეკემბრის დადგენილება №1020.

სენატმა გადაწყვიტა: დამტკიცდეს სტუ-ს სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტთან თვითდაფინანსების პრინციპით მომუშავე „სატრანსპორტო პრობლემათა ცენტრის“ ახალი დებულება.

სტუ-ს სენატის

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოვიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
სენატის

2013 წლის 25 დეკემბრის =43 სხდომის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა =2

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2013 წლის 25 დეკემბრის =43 სხდომაზე სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ს გასაიჯარებელი ფართის შესახებ.

სენატმა გადაწყვიტა: დამტკიცდეს სტუ-ს კორპუსებში გასაიჯარებელი ფართები, კერძოდ:

1. მე-4 სასწავლო კორპუსის (კოსტავას ქ.#77) ცოკოლის სართული, 141 კვ.მეტრის ოდენობით;

2. იმავე მისამართზე 475 კვ. მეტრის ოდენობით;

3. მე-7 სასწავლო კორპუსი (კოსტავას ქ. #71) პირველი სართული 100 კვ. მეტრის ოდენობით;

4. არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობი (კოსტავას ქ.#77), მე-3 და მე-4 სასწავლო კორპუსების მიმდებარე ტერიტორია 1051 კვადრატული მეტრის ოდენობით.

სტუ-ს სენატის

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2013 წლის 25 დეკემბრის =43 სხდომის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა =3

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2013 წლის 25 დეკემბრის =43 სხდომაზე სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ს სამტატო განრიგის დამტკიცების შესახებ.

სენატმა გადაწყვიტა: დამტკიცდეს სტუ-ს სამტატო განრიგი წარმოდგენილი სახით.

სტუ-ს სენატის

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
სენატის

2013 წლის 25 დეკემბრის =43 სხდომის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა =4

სტუ-ს 2014 წლის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ

მიმდინარე წლის 21 დეკემბერს =43 წერილით სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა სენატს დასამტკიცებლად წარმოუდგინა სტუ-ს 2014 წლის ბიუჯეტის პროექტი, შედგენილი „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის გ) პუნქტის და სტუ-ს 2014 წლის ბიუჯეტის შედგენის წესის დაცვით. ნაერთი და საფაკულტეტო ბიუჯეტების შემოსავლები და ხარჯები გაწერილია ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით.

სტუ-ს 2014 წლის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი 2013 წლის ბიუჯეტის იმავე მაჩვენებელთან შედარებით შემცირებულია 2 031 220 ლარით. ამავე დროს სწავლის საფასურიდან შემოსავალი ფაზრდილია 1 732 324 ლარით. შრომის ანაზღაურება პროფესორ-მასწავლებელთა ხელფასების მომატების ხარჯზე გაზრდილია 2 438 819 ლარით. პრემიალური ფონდი შემცირებულია 1 747 524 ლარით, შტატგარეშე მომსახურეთა ანაზღაურება შემცირებულია 2 837 092 ლარით.

ბიუჯეტთან მიმართებაში განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ იგი ძირითადად ორიენტირებულია უნივერსიტეტის აკადემიური და დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურებაზე. ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში შრომის ანაზღაურების წილი 73%-ს შეადგენს. ამასთან ადმინისტრირების ხარჯების წილი 16%-ს შეადგენს, ხოლო ადმინისტრაციაში დასაქმებულ თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება საერთო შრომის ანაზღაურების 15%-ს.

სენატი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ადმინისტრაციის საშტატო პერსონალის და ფაკულტეტების ადმინისტრაციისა და დამხმარე პერსონალის საშტატო ერთეულების რაოდენობამ მიაღწია 1 159 ერთეულს, ხოლო წლიურმა სახელფასო ფონდმა – 7 588 980 ლარს.

სენატი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებებზე, რომ მიუხედავად არაერთი მოთხოვნისა ადმინისტრაციის მიერ დღემდე არ არის შემუშავებული და

წარმოდგენილი დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესი, რაც უმოკლეს დროში გამოსწორებას ექვემდებარება.

ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ სათანადო დასაბუთების გარეშეა წარმოდგენილი ცალკეული სამსახურების საშტატო ერთეულები. სამეურნეო უზრუნველყოფის დეპარტამენტის მართვაში დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენს 32 ერთეულს, 241 800 ლარის წლიური სახელფასო ფონდით, ხოლო დაცვისა და უსაფრთხოების განყოფილების მხოლოდ მართვაში დასაქმებულია 17 ერთეული წლიური სახელფასო ფონდით – 110 400 ლარი.

სენატი მიესალმება რექტორატის გადაწყვეტილებას სტუ-ს დამხმარე პერსონალის საკონკურსო წესით მიღების თაობაზე.

სენატი განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას იმ ფაქტზე, რომ სტუ-ს ადმინისტრაციამ დღემდე ვერ გადაწყვიტა საფაკულტეტო ბიუჯეტების ნორმატიულ ბაზაზე დაგეგმვის საკითხი. ამაზე მეტყველებს შემდეგი, რომ სამშენებლო ფაკულტეტზე ხარჯები დაგეგმილია საერთო შემოსავლების 80%, ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტზე – 83%, სამთო-გეოლოგიურ ფაკულტეტზე – 98%, სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე – 85%, არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტზე – 89%, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტზე – 90%, ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტზე – 91%, ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტზე – 58%. დასაბუთება თუ რა კრიტერიუმებით ხელმძღვანელობს სტუ-ს ადმინისტრაცია ასეთი გადაწყვეტილებების მიღებისას, ბიუჯეტის პროექტს არ ახლავს.

სენატი წარმოდგენილი ბიუჯეტის ნაკლად მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ ბიუჯეტში შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებისათვის ხარჯები არ არის დასაბუთებული სათანადო მიზნობრივი პროგრამებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სენატმა გადაწყვიტა:

დამტკიცდეს 2014 წლის სტუ-ს წაერთი ბიუჯეტი (დანართი =1).

I. საშემოსავლო ნაწილი განისაზღვროს 41 273 383 ლარით. მათ შორის:

- სამეცნიერო გრანტები – 2 152 918 ლარი;
- ფასიანი სწავლებიდან შემოსავალი – 37 118 865 ლარი;
- კანონმდებლობით ნებადართული შემოსავლები – 2 001 600 ლარი (იჯარა –111 000 ლარი, დეპოზიტი – 200 000 ლარი, სახელშეკრულებო თემებიდან და ცენტრებიდან შემოსავალი – 1 690 600 ლარი).

II. ხარჯვითი ნაწილი კლასიფიკაციის შესაბამისად განისაზღვროს

41 273 383 ლარით.

მათ შორის:

1. შრომის ანაზღაურება – 25 584 063 ლარი;
2. საქონელი და მომსახურება – 11 941 999 ლარი;
3. სხვა ხარჯები – 1 573 714 ლარი;
4. არაფინანსური აქტივებისა და მათზე ოპერაციების კლასიფიკაცია – 2 173 607

ლარი.

III. დამტკიცდეს სტუ-ს 2014 წლის ბიუჯეტის ადმინისტრირების ხარჯები (დანართი =7)
– 6 658 836 ლარი.

მათ შორის:

1. შრომის ანაზღაურება – 3 464 978 ლარი;
2. საქონელი და მომსახურება – 2 831 604 ლარი;
4. სხვა ხარჯები – 91 467 ლარი;
5. არაფინანსური აქტივებისა და მათზე ოპერაციების კლასიფიკაცია – 268 787 ლარი.

IV. დამტკიცდეს სტუ-ს ფაკულტეტების 2014 წლის ბიუჯეტები (დანართი =2). მათ შორის:

1. სამშენებლო ფაკულტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი განისაზღვროს 3 241 000 ლარით, ხარჯვითი ნაწილი – 2 597 138 ლარით;
2. ენერგეტიკის და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი განისაზღვროს 3 829 525 ლარით, ხარჯვითი ნაწილი – 3 201 623 ლარით;
3. სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი განისაზღვროს 2 239 269 ლარით, ხარჯვითი ნაწილი – 2 194 990 ლარით;
4. ქიმიური ტექნოლოგიის და მეტალურგიის ფაკულტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი განისაზღვროს 3 103 875 ლარით, ხარჯვითი ნაწილი – 2 835 239 ლარით;
5. სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი განისაზღვროს 4 215 000 ლარით, ხარჯვითი ნაწილი – 3 608 762 ლარით;
6. არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი განისაზღვროს 1 572 196 ლარით, ხარჯვითი ნაწილი – 1 402 554 ლარით;
7. ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი განისაზღვროს 11 000 000 ლარით, ხარჯვითი ნაწილი – 6 436 500 ლარით;
8. ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი განისაზღვროს 7 700 000 ლარით, ხარჯვითი ნაწილი – 6 981 080 ლარით.

9. დიზაინის საერთაშორისო სკოლის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი განისაზღვროს 218 000 ლარით, ხარჯვითი ნაწილი – 400 000 ლარით.

სულ ფაკულტეტების მიხედვით საშემოსავლო ნაწილი განისაზღვრება 37 118 865 ლარით, ხარჯვითი ნაწილი – 29 657 886 ლარით.

V. დამტკიცდეს:

ა) 2014 წლის სამეცნიერო-კვლევითი გრანტებიდან შემოსავლები და ხარჯები №3 დანართის მიხედვით;

ბ) 2014 წელს შემოსულობების და გადასახადების განაწილება ეკონომიკური საქმიანობიდან №4 დანართის მიხედვით;

გ) 2014 წელს მეცნიერების განვითარებისა და ხელშეწყობის პროგრამა №5 დანართის მიხედვით;

დ) სტუ-სა და აშშ-ს აიოვას უნივერსიტეტთან გაფორმებული ხელშეკრულების შესასრულებლად 2014 წელს გასაწევი ხარჯების მოცულობა №6 დანართის მიხედვით.

VI. ნება დაერთოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს სტუ-ს 2012 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში წლის განმავლობაში დაუცველი მუხლების მთლიანი ასიგნებების მიხედვით განახორციელოს ცვლილებები 7%-ის ფარგლებში.

VII. სტუ-ს 2014 წლის ბიუჯეტის შედგენის წესის შესაბამისად, ფაკულტეტების მიერ მიღებული ჭარბი შემოსავლების 100% დარჩეს მათ განკარგულებაში;

სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა (პროფ. ქ. ქოქრაშვილი):

1. უზრუნველყოს ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვითი ნაწილების განუხრელი შესრულება.

2. ფაკულტეტების დეკანებთან ერთად, ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით განსაზღვრული ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ყველა პარამეტრის შესაბამისად, შემუშავებული მიზნობრივი პროგრამებით დაგეგმილი სამუშაოების შესყიდვაზე ჩატარებული ტენდერების შედეგების მიხედვით, დაზუსტებული ნაერთი ბიუჯეტი დასამტკიცებლად წარუდგინოს სენატს 2013 წლის მარტში;

3. დამტკიცებული ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის შესრულების პროცესში მიღებული ეკონომია მიმართოს საპრემიო ფონდში.

4. 2014 წლის თებერვლის ბოლომდე შეიმუშაოს დამხმარე პერსონალის ღია კონკურსის პრინციპები, სამუშაოზე მიღების წესი და დასამტკიცებლად წარმოუდგინოს სენატს.

ეთხოვოს სტუ-ს რექტორს, აკადემიკოს არჩილ ფრანგიშვილს:

ა) კონკურსის ჩატარებამდე სტუ-ს შესაბამისმა სამსახურებმა წარმოადგინონ ეფექტური მართვის უზრუნველსაყოფი მართვის სტრუქტურის და დამხმარე პერსონალის საშტატო განრიგის ოპტიმალური ვარიანტი და დასამტკიცებლად წარუდგინონ სენატს.

ბ) სენატის მიერ დამტკიცებული დამხმარე პერსონალის სამუშაოზე მიღების წესის შესაბამისად 2014 წლის პირველ ნახევარში უზრუნველყოს ღია კონკურსის ჩატარება და კონკურსის შედეგებიდან გამომდინარე განახორციელოს თანამშრომელთა სამუშაოზე მიღება.

VIII. სენატმა მიზანშეწონილად მიიჩნია საფაკულტეტო ბიუჯეტების შესრულებასთან დაკავშირებით გაწეული მუშაობის შესახებ მოისმინოს მენეჯერების ანგარიშები 2013 წლის აპრილის, ივლისის და ნოემბრის თვეებში.

IX. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სენატის მიერ სტუ-ს 2014 წლის საშტატო განრიგი დამტკიცებულია იმის გათვალისწინებით, რომ 2014 წლის პირველ ნახევარში რექტორატი განახორციელებს მმართველობითი და დამხმარე პერსონალის რაოდენობის ოპტიმიზაციას, ჩაატარებს ღია კონკურსს და კონკურსის შედეგების მიხედვით დაკომპლექტდება აღნიშნული შტატები. მომავალში სამუშაოზე მიღება იწარმოებს საკონკურსო პრინციპების განუხრელი დაცვით.

სტუ-ს სენატის

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

სენატის

2013 წლის 25 დეკემბრის =43 სხდომის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა =4

სტუ-ს 2014 წლის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ

მიმდინარე წლის 21 დეკემბერს =43 წერილით სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა სენატს დასამტკიცებლად წარმოუდგინა სტუ-ს 2014 წლის ბიუჯეტის პროექტი, შედგენილი „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის გ) პუნქტის და სტუ-ს 2014 წლის ბიუჯეტის შედგენის წესის დაცვით. ნაერთი და საფაკულტეტო ბიუჯეტების შემოსავლები და ხარჯები გაწერილია ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით.

სტუ-ს 2014 წლის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი 2013 წლის ბიუჯეტის იმავე მაჩვენებელთან შედარებით შემცირებულია 2 031 220 ლარით. ამავე დროს სწავლის საფასურიდან შემოსავალი გაზრდილია 1 732 324 ლარით. შრომის ანაზღაურება პროფესორ-მასწავლებელთა ხელფასების მომატების ხარჯზე გაზრდილია 2 438 819 ლარით. პრემიალური ფონდი შემცირებულია 1 747 524 ლარით, შტატგარეშე მომსახურეთა ანაზღაურება შემცირებულია 2 837 092 ლარით.

წარმოდგენილი ბიუჯეტი ხასიათდება ნაკლოვანებებით. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ იგი ძირითადად ორიენტირებულია უნივერსიტეტის აკადემიური და დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურებაზე. ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში შრომის ანაზღაურების წილი 73%-ს შეადგენს. ამასთან ადმინისტრირების ხარჯების წილი 16%-ს შეადგენს, ხოლო ადმინისტრაციაში დასაქმებულ თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება საერთო შრომის ანაზღაურების 15%-ს.

სენატი განსაკუთრებით ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ სერიოზული ზრდის ტენდენციებით ხასიათდება ადმინისტრაციის საშტატო პერსონალის და ფაკულტეტების ადმინისტრაციისა და დამხმარე პერსონალის საშტატო ერთეულების რაოდენობა. აღნიშნულმა რაოდენობამ მიაღწია 1 159 ერთეულს, ხოლო წლიურმა სახელფასო ფონდმა – 7 588 980 ლარს, რაც პროფესორ-მასწავლებელთა გამოყოფილი სახელფასო ფონდის 37%-ს შეადგენს, რაც საკადრო პოლიტიკაში დაშვებული ხარვეზების შედეგია.

სენატი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებებზე, რომ მიუხედავად არაერთი მოთხოვნისა ადმინისტრაციის მიერ დღემდე არ არის შემუშავებული და წარმოდგენილი დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესი. სწორედ ამით არის განპირობებული სტუ-ს დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღება-განაწილებაში არსებული ზემოჩამოთვლილი ნაკლოვანებები, რაც უმოკლეს დროში უნდა გამოსწორდეს.

ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ სათანადო დასაბუთების გარეშეა წარმოდგენილი ცალკეული სამსახურების საშტატო ერთეულები. სამეურნეო უზრუნველყოფის დეპარტამენტის მართვაში დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენს 32 ერთეულს, 241 800 ლარის წლიური სახელფასო ფონდით, ხოლო დაცვისა და უსაფრთხოების განყოფილების მართვაში დასაქმებულია 17 ერთეული წლიური სახელფასო ფონდით – 110 400 ლარი. განსაკუთრებით უნდა ამახვილდეს ყურადღება იმაზე, რომ საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის მართვაში დასაქმებულთა რაოდენობამ მიაღწია 22 ერთეულს, წლიური სახელფასო ფონდით – 168 720 ლარი. ანალოგიური ნაკლოვანებებია სხვა სტრუქტურულ ერთეულებშიც.

სენატი საჭიროდ მიიჩნევს, რომ სტუ-ში დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღება უნდა დაექვემდებაროს საკონკურსო პრინციპს.

სენატი განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას იმ ფაქტზე, რომ სტუ-ს ადმინისტრაციამ დღემდე ვერ გადაწყვიტა საფაკულტეტო ბიუჯეტების ნორმატიულ ბაზაზე დაგეგმვის საკითხი. ამაზე მეტყველებს შემდეგი, რომ სამშენებლო ფაკულტეტზე ხარჯები დაგეგმილია საერთო შემოსავლების 80%, ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტზე – 83%, სამთო-გეოლოგიურ ფაკულტეტზე – 98%, სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე – 85%, არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტზე – 89%, ინფორმაციკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტზე – 90%, ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტზე – 91%, ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტზე – 58%.

სენატი წარმოდგენილი ბიუჯეტის ძირითად ნაკლად თვლის იმ ფაქტს, რომ ბიუჯეტში შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებისათვის ხარჯები არ არის დასაბუთებული სათანადო მიზნობრივი პროგრამებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სენატმა გადაწყვიტა:

დამტკიცდეს 2014 წლის სტუ-ს ნაერთი ბიუჯეტი (დანართი =1).

II. საშემოსავლო ნაწილი განისაზღვროს 41 273 388 ლარით. მათ შორის:

- სამეცნიერო გრანტები – 2 152 918 ლარი;
- ფასიანი სწავლებიდან შემოსავალი – 37 118 865 ლარი;

- კანონმდებლობით ნებადართული შემოსავლები – 2 101 600 ლარი (იჯარა –110 000 ლარი, დეპოზიტი – 200 000 ლარი, სახელშეკრულებო თემებიდან და ცენტრებიდან შემოსავალი – 1 690 600 ლარი).

II. ხარჯვითი ნაწილი კლასიფიკაციის შესაბამისად განისაზღვროს 41 273 388 ლარით.

მათ შორის:

1. შრომის ანაზღაურება – 25 584 063 ლარი;
2. საქონელი და მომსახურება – 11 941 999 ლარი;
3. სხვა ხარჯები – 1 573 714 ლარი;
4. არაფინანსური აქტივებისა და მათზე ოპერაციების კლასიფიკაცია – 2 173 607 ლარი.

III. დამტკიცდეს სტუ-ს 2014 წლის ბიუჯეტის ადმინისტრირების ხარჯები (დანართი =7) – 6 658 836 ლარი.

მათ შორის:

1. შრომის ანაზღაურება – 3 464 978 ლარი;
2. საქონელი და მომსახურება – 2 831 604 ლარი;
4. სხვა ხარჯები – 91 467 ლარი;
5. არაფინანსური აქტივებისა და მათზე ოპერაციების კლასიფიკაცია – 268 787 ლარი.

IV. დამტკიცდეს სტუ-ს ფაკულტეტების 2014 წლის ბიუჯეტები (დანართი =2). მათ შორის:

1. სამშენებლო ფაკულტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი განისაზღვროს 3 241 000 ლარით, ხარჯვითი ნაწილი – 2 597 138 ლარით;
2. ენერგეტიკის და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი განისაზღვროს 3 829 525 ლარით, ხარჯვითი ნაწილი – 3 201 623 ლარით;
3. სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი განისაზღვროს 2 239 269 ლარით, ხარჯვითი ნაწილი – 2 194 990 ლარით;
4. ქიმიური ტექნოლოგიის და მეტალურგიის ფაკულტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი განისაზღვროს 3 103 875 ლარით, ხარჯვითი ნაწილი – 2 835 239 ლარით;
5. სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი განისაზღვროს 4 215 000 ლარით, ხარჯვითი ნაწილი – 3 608 762 ლარით;
6. არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი განისაზღვროს 1 572 196 ლარით, ხარჯვითი ნაწილი – 1 402 554 ლარით;

7. ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი განისაზღვროს 11 000 000 ლარით, ხარჯვითი ნაწილი – 6 436 500 ლარით;

8. ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი განისაზღვროს 7 700 000 ლარით, ხარჯვითი ნაწილი – 6 436 500 ლარით.

9. დიზაინის საერთაშორისო სკოლის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი განისაზღვროს 218 000 ლარით, ხარჯვითი ნაწილი – 400 000 ლარით.

სულ ფაკულტეტების მიხედვით საშემოსავლო ნაწილი განისაზღვრება 37 118 865 ლარით, ხარჯვითი ნაწილი – 29 657 886 ლარით.

V. დამტკიცდეს:

ა) 2014 წლის სამეცნიერო-კვლევითი გრანტებიდან შემოსავლები და ხარჯები №3 დანართის მიხედვით;

ბ) 2014 წელს შემოსულობების და გადასახადების განაწილება ეკონომიკური საქმიანობიდან №4 დანართის მიხედვით;

გ) 2014 წელს მეცნიერების განვითარებისა და ხელშეწყობის პროგრამა №5 დანართის მიხედვით;

დ) სტუ-სა და აშშ-ს აიოვას უნივერსიტეტთან გაფორმებული ხელშეკრულების შესასრულებლად 2014 წელს გასაწევი ხარჯების მოცულობა №6 დანართის მიხედვით.

VI. ნება დაერთოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს სტუ-ს 2012 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში წლის განმავლობაში დაუცველი მუხლების მთლიანი ასიგნებების მიხედვით განახორციელოს ცვლილებები 7%-ის ფარგლებში.

VII. სტუ-ს 2014 წლის ბიუჯეტის შედგენის წესის შესაბამისად, ფაკულტეტების მიერ მიღებული ჭარბი შემოსავლების 100% დარჩეს მათ განკარგულებაში;

სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა (პროფ. ქ. ქოქრაშვილი):

1. უზრუნველყოს ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვითი ნაწილების განუხრელი შესრულება.

2. ფაკულტეტების დეკანებთან ერთად, ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით განსაზღვრული ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ყველა პარამეტრის შესაბამისად, შემუშავებული მიზნობრივი პროგრამებით დაგეგმილი სამუშაოების შესყიდვაზე ჩატარებული ტენდერების შედეგების მიხედვით, დაზუსტებული ნაერთი ბიუჯეტი დასამტკიცებლად წარუდგინოს სენატს 2013 წლის მარტში;

3. დამტკიცებული ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის შესრულების პროცესში მიღებული ეკონომია მიმართოს საპრემიო ფონდში.

4. 2014 წლის თებერვლის ბოლომდე შეიმუშაოს დამხმარე პერსონალის ღია კონკურსის პრინციპები, სამუშაოზე მიღების წესი და დასამტკიცებლად წარმოუდგინოს სენატს.

ეთხოვოს სტუ-ს რექტორს, პროფ. არჩილ ფრანგიშვილს:

ა) 2014 წლის მარტის ბოლომდე უზრუნველყოს უნივერსიტეტის მართვის სტრუქტურის და დამხმარე პერსონალის საშტატო განრიგის ოპტიმიზაცია და დასამტკიცებლად წარუდგინოს სენატს;

ბ) ოპტიმიზაციის შედეგად გამონთავისუფლებული ფინანსები მიმართოს სტუ-ს თანამშრომელთა ხელფასების გასაზრდელად;

გ) სენატის მიერ დამტკიცებული დამხმარე პერსონალის სამუშაოზე მიღების წესის შესაბამისად 2014 წლის პირველ ნახევარში უზრუნველყოს ღია კონკურსის ჩატარება და კონკურსის შედეგებიდან გამომდინარე განახორციელოს თანამშრომელთა სამუშაოზე მიღება.

VIII. სენატმა მიზანშეწონილად მიიჩნია საფაკულტეტო ბიუჯეტების შესრულებასთან დაკავშირებით გაწეული მუშაობის შესახებ მოისმინოს მენეჯერების ანგარიშები 2013 წლის აპრილის, ივლისის და ნოემბრის თვეებში.

IX. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სენატის მიერ სტუ-ს 2014 წლის საშტატო განრიგი დამტკიცებულია იმ პირობით, რომ 2014 წლის პირველ ნახევარში რექტორატი განახორციელებს მმართველობითი და დამხმარე პერსონალის რაოდენობის ოპტიმიზაციას, ჩატარებს ღია კონკურსს და კონკურსის შედეგების მიხედვით დაკომპლექტდება აღნიშნული შტატები. მომავალში სამუშაოზე მიღება იწარმოებს საკონკურსო პრინციპების განუხრელი დაცვით.

სტუ-ს სენატის

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე